შპს"ტრანს-ფორი გრუპი"-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ასარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....

საქმიანობის შედეგები.....

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....

ფინანსური ანგარიშგებებაზე თანდართული შენიშვნები.....

- 1.ზოგადი ინფორმაცია
- 2.მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა
- 3.განუსაზღვრელობის შეფასებისათვის გამოყენებული ძირითადი წყაროები
- 4.საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური მდგომარეობა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები		107,420	109,798	28,556
სავაჭრო მოთხოვნები		1,157,205	1,309,344	1,923,047
გადახდილი ავანსები		71,763	-	-
მარაგები		-	-	-
მზა პროდუქცია		-	-	-
სხვა		-	-	-
საინვესტიციო ქონება		-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	-
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-	-
გადაფასების მოდელით		-	-	-
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		-	-	-
ძირითადი საშუალებები		79,646	79,406	90,816
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		294,018	314,119	302,437
სულ აქტივები		**1,710,052**	**1,812,667**	**2,344,856**
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები		779,951	842,928	1,461,727
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		2,778	2,778	2,637
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		467,302	632,212	712,410
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		59,040	107,687	140,042
მიღებული გრანტები		-	-	-
სხვა ვალდებულებები		669	2,066	-

სულ: ვალდებულებები	**1,309,740**	**1,587,671**	**2,316,816**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-სშემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	200	200	200
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	400,112	224,796	27,840
გადაფასების რეზერვი	-	-	-
სხვარეზერვები	-	-	-
სულ: საკუთარი კაპიტალი	**400,312**	**224,996**	**28,040**
სულ:საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**1,710,052**	**1,812,667**	**2,344,856**
სულ: მოკლევადიანი აქტივები	1,336,388	1,419,142	1,951,603
სულ: მოკლევადიანი ვალდებულებები	1,250,700	1,479,984	2,176,774

საქმიანობის შედეგები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები	**31/12/2022**	**31/12/2021**
ნეტო ამონაგები	24,981,074	24,370,256
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწევიდან	24,981,074	24,370,256
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-	-
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	**24,981,074**	**24,370,256**
სხვა შემოსავალი	9,247	-
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)	-991,755	-942,943
ცვეთა და ამორტიზაცია (-)	-12,994	-23,090

საპროცენტო შემოსავალი	1,704	-
საპროცენტო ხარჯი (-)	-104,673	-102,878
იჯარის ხარჯი (-)	-132,225	-127,724
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	-23,516,907	-22,945,443
სულ საოპერაციო ხარჯები	**-24,747,603**	**-24,142,078**
საოპერაციო მოგება	**233,471**	**228,178**
გაუფასურების (ხარჯი)/ აღდგენა:	-	-
ფინანსური აქტივების გაუფასურების(ხარჯი)/აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი)/აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების(ხარჯი)/აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-58,155	-27,968
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-	-3,254
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	175,316	196,956
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშო პერიოდის მოგება/(ზარალი)	**175,316**	**196,956**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	-	-
ძირითადი საშუალების (მათ შორის სბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელი ანიპროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	**175,316**	**196,956**
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**224,996**	**28,040**
ახალი აქციების გამოშვება (შპს-სშ ემთხვევაში 'კაპიტალისგაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**400,312**	**224,996**

ფულადი სახსრების მოძრაობა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობა	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	25,656,902	25,209,969
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი(საფინანსო საქმიანობაში დომოყენებული)წმინდა ფულადი ნაკადები	-25,601,125	-25,100,759
წმინდა ფულადი ნაკადები	55,777	109,210
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-58,155	-27,968
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	109,798	28,556
ფულადი სახსრებიდა მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	107,420	109,798

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტრანს-ფორი გრუპი"(ს/ნ 205245135) (შემდგომში „საზოგადოება"). დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საზოგადოების იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო,ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ 29

საზოგადოება დაფუძნდა 2008 წლის 14 მარტს, ს/კ 205245135;

მესაკუთრეები მიმდინარე მდგომარეობით არიან:

გიორგი მჭედლიშვილი, 01008013977 20%

თამაზ მჭედლიშვილი, 01008012370 15%

ნინო შავერდაშვილი, 01005011628 15%

ნინო სანაძე, 01009000531 50%

საზოგადოების დირექტორი არის ბ-ნი გიორგი მჭედლიშვილი, 01008013977

2.მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს"). საზოგადოება ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ: მას წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება და მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი;

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მოზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას საზოგადოების საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები, დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას, კომპლექსურ მიდგომებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

საზოგადოების ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. საზოგადოების ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნად დეპოზიტებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები

	2022 წელი	2021 წელი
	ლარი	ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	66,552	61,107
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	40,868	48,691
	107,420	**109,798**

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი, ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

შენობა-ნაგებობები	25-50 წელი
მოწყობილობა-დანადგარები	10-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7-15 წელი
კომპიუტერები და სხვა საოფისე ინვენტარი	5-10 წელი
ავეჯი	12-18 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან

► აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

► დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან

► ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის" კატეგორიას მიაკუთვნებს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზარდა

იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საზოგადოების ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულება

	2022 წელი		2021 წელი
	ლარი		ლარი
სავაჭრო ვალდებულება	779,951		842,928

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნები

	2022 წელი	2021 წელი
	ლარი	ლარი
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	1,157,205	1,309,344

ბანკის სესხები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით).

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

საკუთარი კაპიტალი

საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ოდენობა საზოგადოების წესდებით განისაზღვრება. წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება) მხოლოდ საზოგადოების მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. მომსახურება ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

ამონაგები

	2022წელი	2021წელი
	ლარი	ლარი
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	24,981,074	24,370,256

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა საზოგადოების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვეო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი ე.წ. „ესტონური" მოდელის მიხედვით, საზოგადოებებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, საზოგადოების მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა, მიუხედავად იმის ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ)

საზოგადოების მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ს თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის" საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, საზოგადოების მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის" საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, პრემიები და არაფულადი სარგებლები საზოგადოების მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც საზოგადოების თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული, ხოლო ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებების, ბიულეტენების შემთხვევაში როდესაც საზოგაოების თანამშრომელი ისარგებლებს ამ უფლებით.

არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, საზოგადოების მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება საზოგადოების იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

3.განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივის ერთეულის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება (განსაზღვრა) მენეჯმენტის მსჯელობის საგანს წარმოადგენს, შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინების შედეგად. აქტივის გამოყენების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, მის ტექნიკურ მახასიათებლებს, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ზემოაღნიშნული პირობების ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება გამოიწვიოს.

გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს შეტანილ იქნა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 01 იანვრიდან და შეეხო საზოგადოების მოგების გადასახადის აღიარებისა და განსაზღვრის პრინციპებს (კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვეო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და ლომბარდის გარდა). ეს ცვლილებები შეეხო საზოგადოების მიერ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს. საზოგადოებებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 01 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების ან სხვა ფორმით. დივიდენდების გადახდის შემთხვევაში გამოიყენება 15%-იანი მოგების გადასახადის ე.წ. „დაგროსილი" თანხიდან (ჯერ უნდა მოხდეს გასაცემი დივიდენდის ნეტო თანხის დაგროსვა 5%-ით საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით და შემდეგ 0.85 გაყოფით მიიღება მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა), რომელიც გადახდილი უნდა იქნეს დივიდენდის ფიზიკურ პირზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირზე გაცემის მომენტში, იმისდა მიუხედავად ეს განაცემი ფულადი თუ არაფულადი სახით არის შესრულებული.

აღნიშნული საგადასახადო ცვლილებით, რეზიდენტ საწარმოს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული აკუმულირებული „წმინდა მოგებიდან" დივიდენდის განაწილებისას, უფლება აქვს ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული (დეკლარირებული) და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა,

მაგრამ არაუმეტეს დივიდენდის განაწილებაზე გათვალისწინებული მოგების გადასახადის თანხისა.

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, როდესაც ხდება დივიდენდების გაცემა (მიუხედავად იმისა, თუ რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემა ხდება). საზოგადოება აღარ აღიარებს მოგების გადასახადთან დაკავშირებულ გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შემდგომ. კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, საზოგადოებას არ აქვს აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2017 წელს მიღებული მოგებიდან მოგების გადასახადის ვალდებულება.

აღნიშნული საგადასახადო ცვლილების მიხედვით, დივიდენდების განაწილებასთან ერთად, მოგების გადასახადით ასევე იბეგრება (მოგების განაწილებად ითვლება) ისეთი ხარჯების გაწევა, რაც ეკონომიკურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული (ხარჯი რომელიც არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულად; მომსახურების ან აქტივების უსასყიდლო მიწოდება; წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობას). ასევე შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის მქონე ქვეყანაში დარეგისტრირებული პირებისათვის გაცემული ავანსები, ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტებზე გაცემული სესხები დაუყოვნებლივ ექვემდებარება დაბეგვრას. თუმცა აღნიშნული სესხის დაბრუნების ან ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღების (ან ავანსის დაბრუნების) შემდეგ, საზოგადოებას შესაბამისი დეკლარირების გზით შეუძლია ამ ოპერაციებზე გადახდილი (დეკლარირებული) მოგების გადასახადის ჩათვლა. ისეთი გადასახადები, სხვა გადასახადების მსგავსად, რომლებიც უკან დაბრუნებას (ჩათვლას) აღარ ექვემდებარება, საზოგადოების მიერ აისახება „სხვა საოპერაციო ხარჯებში" და არ მიეკუთვნება საანგარიშო მუხლს - „მოგების გადასახადი"

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022წელი	2021წელი
	ლარი	ლარი
სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურების და გადაზიდვების ხარჯი	23,296,801	22,802,764
საწარმოო დან.ძირითადი საშუალებების ცვეთის და შეკეთების ხარჯი	-	-
საოფისე ხარჯები	21,638	19,820
რეკლამის ხარჯი	7,728	3,718
საკანცელარიო ხარჯი	7,904	8,655
საწვავის ხარჯი	-	-
მივლინების ხარჯი	4,526	-
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	13,000	1,000

საგადასახადო ხარჯები	8745	2,386
საბანკო ხარჯები	113,003	80,333
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	43,562	26,767
	23,516,907	22,945,443

4.საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

შპს „ტრანს-ფორი გრუპი" - ს დირექტორი"

გიორგი მჭედლიშვილი